საზიარო ტრადიციები მულტიეთნიკურ დასახლებაში

(სოფელ გომბორში დამკვიდრებული ტრადიციების მნიშვნელობების განსაზღვრა)

თათია კალატოზიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი თემაა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებული მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმის აღწერა. კვლევის მიზანია მრავალეთნიკურ დასახლებაში - სოფელ გომბორში - დამკვიდრებულ ტრადიციებზე ეთნოგრაფიული დაკვირვების მეთოდის გამოყენებით აზერბაიჯანელ მუსლიმებსა და ქართველ ქრისტიანებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ რა როლი აქვს საზიარო დღესასწაულებისა და რიტუალების შესრულების წესებს მშვიდობიანი თანაცხოვრების ფორმირებაში. კვლევას ასევე აინტერესებს საზიარო დღესასწაულებისა და ტრადიციების ფუნქციები და მნიშვნელობები მრავალეთნიკურ გარემოში.

სოფელ გომბორში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ერთი შეხედვით მშვიდობიანი თანაცხოვრების ფორმა გულისხმობს ლატენტური კონფლიქტის არსებობას ქართველ ქრისტიანებსა და აზერბაიჯანელ მუსლიმებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ გომბორის მოსახლეობის უმრავლესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, ქართული კულტურა ინარჩუნებს დომინანტობას სოფლის ცხოვრებაში. მუსლიმური ტრადიციები ადაპტირებულია ქრისტიანულ გარემოსთან, რაც ხელს უწყობს ორი განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მშვიდობიან თანაარსებობას ერთ სივრცეში.

სოფელ გომბორში დამკვიდებული მუსლიმური და ქრისტიანული დღესასწაულები შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა მათი ტრადიციებისა და რიტულების შესრულების წესები მსგავსია, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ლატენტური კონფლიქტის არსებობის ფონზე თანაცხოვრების მშვიდობიანი ფორმის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.